

ჩვენ



საზიარისა და იუმორის
ჟურნალი №1

ჟანი 60 თათრი

2005

„ნიანგის“ ნაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

ნახ. მალხაზ კახაიშვილისა

136

2005



ფეხ მარაბ სიხარულში

გემს კი არა ნახმარ გლისერს,
მე, იაფად არვის მივცემ,
გინდ რუსს,
გინდ ფრანგს,
გინდ ინგლისელს,

ღამიჯერათ, მენდეთ
გტკიცად,
მუღამ თქვენი
განდუქიძე.

იკითხეთ შურნალი „ნიანგი“!

ეს თქვენთვის ყველაზე აუცილებელი და საჭირო რამ არის დღეს, როცა ცხოვრების უკუღმართობის გამო თქვენ განწყობილებას დეპრესია მორევია.

შურნალი „ნიანგი“ უხვად შეიცავს პრეპარატ იუმორინს, რომლის მიღებაც იძლევა საუკეთესო ეფექტს (გვირდითი მოვლენები გამორიცხულია): იგი შევიძლიათ მივიღოთ ერთადაც და ნაწილ-ნაწილადაც, როგორც მოგახსიათებათ ისე, დღეში სამჯერ, ძილის წინ, ჭამის წინ თუ ჭამის შემდეგ, სულ ერთია. ჩვენი ხუმროვები, გარდა იმისა, რომ გულს მოგფხანთ, თუ არ გახარხარებთ, ღიმილს მაინც მოგვპრით. ეს გარანტირებული გაქვთ. სიცილი და ხით-

ხითი კი, როგორც ცნობილია, თქვენს ელემენტარულ მყოფი ადამიანისთვის უზარარი სამკურნალო ნაწილადაა.

ნახ. და თემა მურთაზ აბაშიძისა



„ნიანგის“ კოეფიციენტი

- დეკლარაცია – მოპარული ფულის დაკანონება.
- ფული – მატერიალური გამდიდრებისა და სულიერი გაღატაკების საშუალება.
- ტაბა – ქალის ტანსაცმელი, რომელსაც სასირცხო ადგილების დაფარვა არ ევალება.
- სიბერე – ზოგიერთი გოგონასათვის თავის გამოჩენის საშუალება - მეც აქა ვარო.

სამართლად ერთადერთი ქვეყანაა:

- სადაც** ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმას კი არ ცდილობენ, ქვეყანას როგორ გამოადგენ, არამედ ქვეყანა როგორ გამოიყენონ.
- სადაც** სიმართლეზე უფრო სიცრუე საღდება.
- სადაც** ადამიანს ფულით და თანამდებობით აფასებენ.
- სადაც** პატრიოტიზმი ქვეყნის სამსახურს კი არ გულისხმობს, არამედ განწყობის ამალგების საშუალებაა.
- სადაც** ღირსეულს ჯერ კლავენ, მერე ადიდებენ.
- სადაც** ყოველგვარი კონტაქტი, კონფლიქტის მიზეზი ხდება.
- სადაც** შვილი საკუთარი დედის შეგინებია თავს „იწონებს“.

- სადაც** იმას კი არ ცდილობენ, კანონს როგორ მოერგონ, არამედ კანონი როგორ მოირგონ.
- სადაც** შიმშილობის აქციებს აღარ აწყობენ, რადგანაც იგი თავისთავად მიმდინარეობს.
- სადაც** დანაშაულს ყველა სხვაში ამჩნევს და არა საკუთარ თავში.
- სადაც** უკანონობას კანონების მიღებით ებრძვიან.
- სადაც** ქურდობა და მექრთამეობა ცხოვრების ნორმაა.
- სადაც** საპენსიო ასაკი სიკვდილის ტოლფასია.
- სადაც** ბიზნესს კორუფციით და შავი ფულით ქნნიან.

ალმანჯორ თავაძე

რუსები ხვდებიან, რომ ცუდი დრო დაუდგამთ

მართალია კრემლის ვარსკვლავი ისევ ანათებს, მაგრამ რუსული ინტერესები პოსტ-საბჭოთა სივრცეზე იმ ვარსკვლავს ემსგავსება, დიდი ხნის წინ რომ ჩაქრა და მხოლოდ მოკლემოკლე გამონათებით გვახსენებს თავს.

მოსკოვში ხვდებიან, რომ უბატრონო ეკლესიას ეშმაკები ესევიან. ივანეზე ეშმაკი კეთილი ბიძია სემი აღმოჩნდა, ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტს იგი გაცილებით ძვირად აფასებს. ვაჭრობაში მონაწილეობისათვის ვანია ბიძიას მხოლოდ რეპუტაცია შელახული მუშტი

ალარ ყოფნის. რუსები ველარავის ამინდებზე რიქით, "ჩვენ შეიძლება მცირე წონის, მაგრამ ის დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რომელიც ჩრდილოეთის მზის ორბიტიდან გამოვიდა და იქ მხოლოდ მაშინ შევა, როცა ცალკე კონტინენტად მიგვიჩნევენ, რომელსაც თავისი მზე და თავისი ორბიტა აქვს." — ამბობდა ზურაბ ჟვანია.

ამ ფონზე რუსეთის იმპერიული ვნებები — „ჩემი ჩემია, შენიც ჩემია“, მცირედ, მაგრამ მინც ჩამცხრალი ჩანს.

გურულები სუბრობენ

ქველი სიმღერა

რა ელირსა სუფსას, ძამა,
ოქროდ იქცა მიწის ბელტი.
ტერმინალზე გაგვეჭიმა
სამი ქვეყნის პრეზიდენტი.

ვიზეიმეთ, თუმცა საქმე
ვეგრ-ავერ გაგვიბაზრდა.
აბაშიძე ვერ დაგვესწრო,
სტუმრად იყო არძინბასთან.

მისამღერი:

ზღვისპირეთი დაინავსა,
რაც პირადულ ამბავში დევს.
თურმე, ტერმინალის გახსნა
ჩაქეში სურდა აბაშიძეს.

არაბაბელო გაბაბავა

სოფლის თორმეტი საოცრება!

თეთრხელებიანი გლეხი,
ცხენის უნალო ფეხი,
ქალაქს ნაყიდი ძეხვი,
ოქროდ ქცეული ნეხვი!
აოხრებული ზვარი,
ბალის მაგივრად ნარი,
დაქანგებული ბარი,
გამოკეტილი კარი.
გაუქმებული ჭური,
სანთლით საძებნი ფური,
ქარხნის ყველი და პური,
გლეხი — ქალაქის მდგმური.

ნიკოლოზ იოსებიაძე



— ყვავო! გამოიყენე სიტყვის თავისუფლება, ამოიღე ხმა!

საქართველოს
პარლამენტის
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

პირიდან პირში

პირი დავაღე, როდესაც შენელებულ ვიდეოფორმში კადრები ვიხილე, ნარკობიზნესის ახალი სფეროები ნარკოტიკების რეალიზაცია კოცნით.

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ფრიად სერიოზულ, ამასთან, ერთობ სარფიანი საქმით იყვნენ დაკავებულნი. ჩვეულებრივი რეჟიმით დატრიალებული ვიდეოფორით პოლიციის შეფის ტელეეკრანზე განსაკუთრებულ არაფერი ჩანდა, თუმცა შენელებული რეჟიმით ნათლად მოსჩანდა, თუ როგორ ასაღებდა ნარკოტიკებს სამეული. სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში შვიდზე მეტი „ულუფა“ გაყიდეს.

გამორიკვა, რომ ნარკოტიკების გამყიდველს პირში ათიდან ოცამდე პატარა პლასტიკატის კაფსულა უდევს. თითოეულ მათგანში კი 0,2 გრამი ჰეროინია. გამყიდველი კოცნის საშუალებით ვადასცემს მყიდველს კაფსულას პირიდან პირში და თუ რაიმე საშიშროება გაჩნდა, მყისვე ყლაპავს კაფსულებს.

ნარკობიზნესმენების საყურადღებოდ: გაიზიარეთ „მოწინავეთა“ გამოცდილება. კოცნეთ და კოცნეთ ერთმანეთი სამარის კარამდე.

ვაჟა შაჰარაშვილი



«წინაპართავან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ შრიამული.»

ბალატიონი

სნაიპერი დედალი

პანკისში რთული მდგომარეობა იყო, ერთობ დაძაბული სიტუაცია.

კვირას თელავის ბაზარში გავედი, ქათმის ყიდვა მინდოდა. ხანდაზმულ კახელ დედაკაცს ორი მშვენიერი დედალი ფეხებგაკრული დაელაგებინა წინ. ალბათ, უკანასკნელებს თუ შელეოდა...

რაც დამიფასა, მაშინვე მივეცი, არც შევვაჭრებოვარ. რამდენიმე ნაბიჯი რომ გამოვიარე, ქათამი შევათვალეირე. ცალ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული. ისევ იმ ხნეირ ქალს მივუბრუნდი.

— ძალო, ეს ქათამი გამომიცივალე, — ვუთხარი მე.

— რათა, შვილო? ჩემი ხელით სიმინდზე გაზრდილი დედალია...

— ცალ თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული.

— ჰოო, საჭმელად მშვენიერი დედალია, შვილო, მაგრამ შენ თუ სნაიპერად გინდა, მაშინ არ გამოგადგება, სწორედ მარჯვენა თვალზე აქვს ლიბრი გადაკრული.


უსიტყვოდ შევბრუნდი და პანდურნაკრავივით გავცილდი ქარბორბალასავით დატრიალებულ იუმორს!

ზურღან ბემაზაშვილი

ნახ. და თემა ილარი უაინიზვილისა



უსიტყვოდ



- კახა ავტანდილოვიჩი! ია, ტებე დამ სტო მილიონ დოლაროვ, ტოლკო პაგუბი ეკონომიკუ გრუზიი!
- ვოტ ტებე იზ ტრიოხ ადინ პალეც!

მურმან ლეზანიძე

პიპლინგი იტყვის

დამნაშავეა არა ძლიერი, —
ქედზე, წახრილზე, დამდგმელი უღლის,
არამედ სუსტი, გულდამშიერი —
დავიმასხოვროთ კანონი ჭუნგლის!
თვითონ სისუსტე ჩვენი ვიწამლოთ, —
სხვისა ნუ შეგვშურს დიდების მქუხრის, —
დროა ვისწავლოთ, დროა ვისწავლოთ,
დროა ვიწამოთ კანონი ჭუნგლის!
არსით საშველი! უნდა შევიძლოთ
შეკვრა წარბის და გამართვა მუხლის!
დროა შევიცნოთ, დროა შევიცნოთ,
დროა შევიგნოთ კანონი ჭუნგლის!

ნ.ბ. და თემა ბურაბ შანტაშვილისა



- დღეს ჩვენი ახალი უფროსის დაბადების დღეა, ეს „სოსკა“ მივუტანოთ!

ნეპას პიპლის სკაპი

ისტორიის მუზეუმში
ცეკას მდივნის სკამი
დგას ინტერესმოკლებული,
ახსოვს ბევრი გვამი.
ახსოვს დავა, ჩხუბიც ახსოვს,
ჩხუბი - მუშტით, კეტით,
ჩხუბი დანით, ავტომატით,
ზოგჯერ პისტოლეტით.
სახელმწიფო განადგურდა
სკამის გამო ლამის,
ვილას ახსოვს ახლა, ხალხო,
ცეკას მდივნის სკამი.

სიმონ ბალახაძე



- ეს, უბრალო მამალი არ გეგონოს, ვარდების რევოლუციის მონაწილეა, სოფლის ასაშენებლად ჩამოვიყვანე!



თემა მერაბ სიხარულისა

სსარტულუნი

- გუშინ ცოლი ზოპარკში მყავდა.
- მერე, რა?
- არაფერი, არ მიიღეს!

- ჩინელს ჰკითხეს:
- მოსკოვი როგორი ქალაქიაო?
 - სუფთაა და ცოტა ხალხიაო.

- პარაშუტი თუ არ გაიხსნა, ამ საქმეს თავი უნდა დაანებო!



- ბიჭო, მამაშენი მოვიდა!
- არა, ეგ ღელაჩეხია!

განცხადებები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰყიდულობ

მინისტრის, დეპარტამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, ბაზრის დირექტორის, მაღალი ჩინის პოლიციელის, საბაჟოს და საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობას შეღავათიან ფასებში.

ჰყიდი


სკოლის ოქროს მედალს, საქორწინო ბეჭდებს, ნათლობის ჯვრებს, ანტიკვარულ ნივთებს და სურათებს, საოჯახო რელიქვიებს, მსოფლიო სიმპოზიუმებზე მოპოვებულ ჯილდოებს, სამეცნიერო პრემიების დიპლომებს, ტანსაცმელს და თეთრეულს, ძალიან იაფად.

სწუხს ქართული,
კოლხი,
სვანი,
იმერელი და გურული,
საქართველო რომ თანდათან
ხდება მინიატიურული.

ქიზვარდ ისაბაძე

თემა მერაბ სიხარულისა

ბამოჩენილ კლასიკთა ცხოვრებებს



* * *

საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ პროფესორი ალ. ხახანაშვილი, არტურ ლაისტი, ნიკო ხიზანიშვილი მეუღლით, მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები. ერთი ჯგუფი სტუმრებისა ილიასთან და მის მეუღლესთან ერთად აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

უცებ ილიამ მიმოიხედა და იქ მყოფთა შორის ზოგიერთი მოისაკლისა.

—ლაისტი სადღაა? —ჰკითხა მან მეუღლეს.

ოღლა სმენადაქვეითებული იყო. მას ეგონა ილია თამბაქოს კითხულობსო და მშვიდად უპასუხა:

—შკაფშია შენახული.

ილიამ არაფერი შეიმჩნია, ადგა და ოთახში შევიდა.

—თვითონვე შეინახა და დაავიწყდა,— დიმილით გადაულაპარაკა ოღლამ გვერდით მჯდომ ელისაბედ ჩერქეზიშვილს.

* * *

ერთი პოეტი გადაკიდებია თურმე გალაკტიონს და ყოველი შეხვედრისას ეკითხებოდა:

—მართალი მითხარი, ხომ ვარ ილია კავკასიელი ხომ ვარ?

რომ აღარ მოეშვა, გალაკტიონმა თავიდან მოსაშორებლად თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად:

—ახლა ის მითხარი, მაინც რა მაკლია ილიამდე?

გალაკტიონმა ვეღარ მოითმინა და შესძახა:

—ტყვია შუბლში!..

* * *

შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი სანაპიროზე სეირნობის დროს მოწმე გახდა ერთი სოვდაგრის გადარჩენისა, რომელიც მდინარეში ჩავარდნილიყო. ვილაც ღარიბმა კაცმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და განწირული ნაპირზე გამოიყვანა. მან კი ჯილდოდ მხოლოდ ერთი გროში გაიმეტა.

შემთხვევის ადგილას შეგროვილი ხალხი აღშფოთდა სოვდაგრის უმადურობით და მისი უკანვე, წყალში გადაგდება მოინდომა, მაგრამ საქმეში ბერნსი ჩაერია:

—გაუშვით, —თქვა მან, თვითონ უკეთ იცის თავისი ფასი.

შეკრიბა ნანა ჯაჯანაშვილმა

ნახატი და თემა მახტანბ კუციანსი



—ეს უზნებობაა! თქვენ ყოველდღე მეუბნებით ხვალ მოდიო!
—კი ბატონო! თუ გინდა ზევ მოდი!



- ბატონო ექიმო, ბავშვმა ხურდა ფული გადაყლაბა.
- ხურდა ფულზე ჩემი კოლეგა მუშაობს!

თქვენი გაკონსოლირებული

ლხინად გაშლილ სუფრას ოც კაცზე მეტი ვუსხედით. ჩემს პირდაპირ კინორეჟისორი იქდა. „ესაა კაცი?“ - ვფიქრობდი გუნებაში გულწრფელად, - „მაგის გადაღებულმა ფილმებმა ხალხს ინფარქტი დამართა. კინოს გადაღებას კი არა, სამი ბატის მოვლას არ მივანდობდი...“ თამადამ კინორეჟისორის სადღეგრძელო შესვა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.
- თქვენ რომ არ გგყავდეთ, რა ეშველებოდა ქართულ კინომატოგრაფიას! თქვენი სურათები ოქროს საგანძურში შევა! თქვენ გენიოსი ხართ! თქვენ კიდევ ას წელიწადს უნდა იცოცხლოთ, სულ ცოტა ორასი სურათი რომ გადაიღოთ-მეთქი, - ვთქვი რიხით და ყანწი ბოლომდე დავცალე...

დირექტორმა დაბადების დღეზე დამპატივა. საჩუქრად ხუთასმანეთიანი სანადირო თოფი ვუყიდე.
- „აქედან გამოვიარდნილი ტყვია გეცეს შუბლში-მეთქი“, - გავიფიქრე გულწრფელად.
- პანთეონოვიჩი, თუ შენი ორგული ვიყო, ორივე ლულა ერთად დამეცალოს მკერდზე-მეთქი, - ვუთხარი იუბილარს და საჩუქარი გადავეცი.

რეზო მატაპარინი

დაგაკვირდი

უფროსის ქული უქმად რომ დევს, ისიც საჭეა, ყველას ჰგონია, რომ თვითონაც საღლაც აქვია.

შური ჩამომხმარ-ჩამომდნარი ოხვრით და კენესით, იმ მორიელს ჰგავს, თავს რომ იკლავს საკუთარ გესლით.

უცნაურია, მაგრამ სინდისს აქვს ეს თვისება, რომ ირეცხება, უფრო მეტად მაშინ ისვრება.

ბრიგოლ ჩიქვილაძე

ნახ. მამია მალაზონისი



- რა ამბავია? რა მოგივიდათ?
- ბავშვი დაგვინიშნეს დირექტორად და იმის ჰკუაზე დავდივართ!

დღესი ჩინჩარაული

მა დროს კრძალვა და შილია!

გუშინდლისა და დღევანდლის
კარგად გასიგრძელებით
ჩანს, რომ ღვარცოფში ჩაცვევით,
ზღვისავენ მივეჭანებით!
დროზე თუ არ გავიჭებით,
ნაპირს ვერ მივეჭანებით!

პირდაპირა ვთქვათ სათქმელი,
რა დროს კრძალვა და ტაქტია?! —
მეჭრთამეობაც ფაქტია,
ერის ლალატიც ფაქტია!
ხომ ჩაიდინა ვილაცამ
ჯოჯონეთური აქცია, —
სამლოცველო და საყდარი
ცხენების თავლად აქცია!..


ცოდვები შერჩათ და ცოდვილთ
შეცვალეს ბარიკადები,
მართალთა პოზიციიდან
ქნავიან, როგორც კატები.
თუ ფხიზლად არ მოვიქცეთ
ახლა და ამას იქითა,
კატები გაძაღდებიან,
აყფდებიან რიხითა!..

პირდაპირა ვთქვათ სათქმელი,
რა დროს კრძალვა და რილია?! —
გაგვითავებდნენ უღირსნი,
სულ ყველაფერზე შილიან,
მამა-პაპათა საფლავებს
აუქციონზე ყიდიან!..

რაკი ეს ჩვენს სახლში ხდება,
გამოდის მაშასადამე,
ისევ ჩვენ უნდა ვიფხიზლოთ,
ჩვენ უნდა ვიყოთ მზადვე, —
ბილწით არ დაგუთმოთ მამულის
მომავლის მართვის სადავე!

რაკი ჩვენივე ბრალია,
ნაგავი რომ გვაქვს ბინაში,
ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი
შთამომავლობის წინაშე!

კერაში ღველფი არ ჩაქრეს,
არ დაგვრჩეს მარტონაცარი,
ჩვენ გვადევს და სხვას არავის
ეს ვალი უზარმაზარი, —
წმინდად დავიცვათ წინაპრის
ნაანდერძევი რაც არი —
დიდი ილიას ტაძარი,
დიდი ივანეს ტაძარი!




ახალი წლის ღამე



საქართველოს
პარლამენტის
გერმანული
გეგმვის
ბიზნოსი

23981

იუბილუმის პეზე



საიჭიოდან დეპეშა მოვიდა:
 - „წაიყვანეთ ეს კაცი აქედან, დაგვხოცა სიცილითო“.
 ქართლოსს გაუგია ამ დეპეშის შინაარსი და უთქვაძს:
 - „თქვე კაი ხალხო, დახოცილები არ იყავით, მე რას მბზრალეხთო?“
 - დახოცილები კი ვიყავით, მაგრამ შენ გაგვაცოცხლე და ისევ დავინოცეთ სიცილითო, - იყო ხმა საიჭიოდან.

ამიტომაც დაუჯერებელია, ქართლოსს კასრაძის გარდაცვალება.
 ისევ ქართლოსის ანეკდოტს მივუბრუნდეთ:
 „პანა შვიდზე, შესასვლელში ქალი შეჩერდა და მორთო ტირილი, არ მჯერა, არ მჯერაო. რიგში მის შემდეგ მდგომმა მამაკაცმა დაიძახა: - ვისაც გვჯერა გაგვატარეთო.“
 ვაი, რომ „ნიანგი“-ს რედაქციაც იმ ქალბატონის დღეშია ჩავარდნილი..

ბიოგრაფია ერთი კარგი კაცისა ჰქონდა. მისი ბიჭობის დროს ქალაქელობა იგივე თბილისელობა იყო.
 მსახიობი, ფილოლოგი, ნოველისტი, პოეტი, იუმორისტი, ვერელი, მრავალი ინსტიტუტის მრავალჯამიერი სტუდენტი. ქართლოსი იყო ჯაშენი და - ყველას მისი მოსმენა სურდა. პირველად მან უმღერა „ამერიკელ მისტერ ვუს“. იყო კონფერანსიე და ყველას მისი წამყვანობა სურდა - საით წაიყვანდა კონცერტს, სულ ერთი იყო.
 ორი ათასზე მეტი კონცერტი ჰქონდა ჩატარებული, 19 სხვადასხვა ენაზე. სადაც ჩავიდოდა, იმ ქვეყნის ქულს იხურავდა და იმ ენაზე ლაპარაკობდა.

ერთხელ ჩეხებს ჩეხურ ენაზე ჩაუტარა კონცერტი პრაღაში. ტაშით დაინგრა დარბაზი. ჩეხები აცვივდნენ ესტრადაზე, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ეფერებოდნენ და თვალცრემლიანი ეკითხებოდნენ: - „რა ენაზე ლაპარაკობდით?“
 ნოდარ დუმბაძე იყო იუმორის მზე, ქართლოსს კასრაძე კი იუმორის მეფე.

ერთხელ ნოდარმა სიყვარულითა და მოფერებით უთხრა ქართლოსს:
 - ძამა, ნიჭიერი კი ხარ, მარა, გიჟი ხარ.
 ქართლოსმა რამდენიმე დღის შემდეგ უპასუხა ფსიქიატრიული დისპანსერიდან მოტანილი ცნობით, რომ „ქართლოს დავითის ძე კასრაძე არ არის გიჟი და ნორმალურია“, რასაც ხელს აწერდა აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი.
 აი, ვინ იყო ქართლოს კასრაძე. მისი ჯანსაღი იუმორი მიმოფანტულია მთელ საქართველოში. რაც დრო გავა, მით უფრო ძვირადღირებული იქნება მის მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვა.
 „ნიანგი“-ს რედაქციის ოქროს ფონდში შემონახულია ქართლოს კასრაძის შემოქმედება. იგი ცოცხალია.

შანი სიხარულიძე


ფანქარბა ცოლად შეირთო
 სასული, ყველა დაულოცა ოჯახი
 ფინდა, მას შემდეგ უკუღმა ბრუნდა
 ჩარხი - ფანქარი წერდა, სასული ულიდა!

ქართლოს კასრაძე



- ბატონო ექიმო, გიბე ვერ გიპოვეთ და პატივი როგორ გცეთ?
 - რას იკლავ თავს შე კაცო, პირდაპირ ხელში მომეცი!

ნახ. და თემა ლავით თოთობაქისა



მურთაზ აბაშიძე

ჩვენი ქვეყნის გაჭირვებაზე გულისტკივილმა, მშვიდობიან ცხოვრებაზე ფიქრმა, უსულგულობამ, უკანონობამ, უმაღურობამ პატიოსანი კაცი

შეიწირა. მთელი შეგნებული ცხოვრება ნაკლოვანებასთან ბრძოლას შეაღია. იბრძოდა, იბრძოდა ფანქრით, იბრძოდა სატირით და იუმორით.

თითქმის 60 წელი ემსახურებოდა მურთაზ აბაშიძე „ნიანგის“ რედაქციას. მისი კარიკატურები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ნიჭიერი მხატვრის შემოქმედება გამოირჩეოდა უდიდესი პროფესიონალიზმით. იყო თავმდაბალი, სიტყვამართალი, ობიექტური, შრომისმოყვარე და კრიტიკული.

ფუტკარივით მშრომელი, დაუღალავი, დიდებული ქართველი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ძირძველი „ნიანგელი“, სარედაქციო კოლეგიის წევრი მურთაზ აბაშიძე მუდამ ემახსოვრება ქართველ მკითხველს.

„ნიანგის“ რედაქცია დიდი პატივისცემით შემოინახავს მის ხსოვნას.

შანი სიხარულიძე



ნ.ხ. და თემა მურთაზ აბაშიძისა



მლიქვნელ-მედროვეს

სადაც ლელო ლიქნით გააქვთ, ვერ გაიტან ბრძოლით თქვენს ამიტომაც ფხთა ლელოთა არის შენი „პოლიტიკა“!

ერთი რითმა კიდევ ვაჩნდა, ვერ დავტოვებ ამას ობლად: კაცი დიად საქმეთათვის მოდის მუდამ ამა სოფლად.

შენ არ შრომობ, გაწაფულხარ მხოლოდ ენის ამასობლად, ოფლსაც იდენ, მაგრამ ვერა, ვერ ჩავითვლი ამას ოფლად!

იჭვი

მომავალია ჩვენი ნუგეში, მაინც მტანჯავენ შავი იჭვები, შეებმინ კი ერის უღელში კევილეჟია გოგო-ბიჭები?


მომხვეპელს

ხვეტე და ხვეტე უშრომლად, აგროვე ოქრო-ვერცხლები, ბინაც გაქვს, აგარაკებიც, მანქანაც!.. მაინც ვერ ცხრები!


გაქვს, მაგრამ მაინც გხედავენ ბედის მომღურავს, მწყრომელსა!.. ვაგლახ, რომ მიწა დააცხრობს ყოველსა დაუცხრომელსა!..

ალექსი ზინზარაული

ნახ. და-თემა ვახტანგ კუციასი



- ჯერ არ გამოჩეკილა და უკვე მინისტრის სავარძელშია?!



უსიტყვოდ

თეიმარქია ლიდერი

ერთი კაცი ქადაგებდა,
ვინ არის, რომ არ ახსოვს,
„ოღონდ განვთავისუფლდეთ და
შევვკამ ხმელა ბალახსო!“
დღეს ის კაცი, მწვადის გარდა,
არ კადრულობს: შევკამანდს,
ბალახები კი არა და,
საქართველო შევკამა.

აშუქული ფასები

ხელფასები რომ დავაბით
და ფასები ავუშვით,
მე მგონია, შეცდომები
სწორედ მაშინ დავუშვით.
ახლა ფასებს ვინც დააბამს
და აუშვებს ხელფასებს,
შეიძლება ამ ნაბიჯით
გენიოსად შეფასდეს.
რა ვყოფილვართ ქართველები,
ასეთები რა ვიშვით,

ჩვენს მტერსა და დამაწყევარს,
თუ რამეში ავიშვით.

უმცირესობა

როდესაც უმცირესობა
არ უსმენს უმრავლესობას,
ამიტომ ველი, რაც არის,
იმაზე უარესობას.

ბურამ კლდიაშვილი



- ბატონო სევასტი! ამ ხნის კაცი ვარ და პირველად ვხედავ დაბმულ კატას!
- მეზობლის თაგვებს იჭერდა და იმიტომაც დავაბი!

გიორგი ქუჩიშვილის ანდერძი

1933 წელს „ნიანგის“ საიუბილეო ნომერში დაიბეჭდა გ. ქუჩიშვილის ლექსი „ჩემი ანდერძი“. გთავაზობთ ამ ლექსს ორნაგ შემოკლებით.

... გადაიკითხეთ, მეგობრებო, ჩემი ანდერძი, ქელენისათვის სახელგამში ვტოვებ მილიონს. ნუ არბენინებთ კუბოსათვის პალოს, ტიცციანს, მწერალთა საბჭომ არ იყიდოს მკვდირსთვის იები, კიტრის ნაფცქვენი მიმშვენებდეს შუბლს წითელ-ციანს, ვარლამ რუხაძემ გამისტუმროს ვალ-ნისიები...

... შიო მღვიმელი მიკიტნებთან ასკუბეთ ცხენით, კახურ ღვინისთვის კუბრიანი მიეცით ხელში, (ვ. გუნიას და შ. დადიანს ეცით ნუგეში; ასვით ნუნუა ან ჯიხვის რქით, ან აზარფემით.) არ მინდა გლოვა, არც წუწუნი, წამიღეთ ღვინით, ჩხიკვაძის გვერდით მიმაბარეთ მეც დიდუბეში.

... ყრმა ჭაბუკ ლექტორს, კოტეტიშვილს, - ეთხოვოს სიტყვა, (ნუ შეათრთოლებთ რობაქიძის დაკუმულ ბაგეს!) თუ დამსწრეთაგან ჩემს შესახებ იყოს შეკითხვა, ირონიულად გადახედოს, - პასუხს ნუ აგებს.

მჯერა ჩემს ცხედარს დაიტირებს გალაკტიონი, გვარად ტაბიძე და „ტიტული“ - „მეფე-მგოსანი“. მის შერხვევაზე კანკალს იწყებს დიდი სიონი, გლოვის ძაძებში გაეხვევა მზე სხივოსანი. ყველაზე მეტად შეწუხდება ვიცი „ნიანგი“, მაგრამ ჩემსავით სძულს იმასაც მოზარე ჰანგი. ... მოხსენით ტიკსა, ყველა ოხრის ტოსტები სცალეთ და გაიხსენეთ ქუჩიშვილის „ღვინიც“ და „ხოშიც“!

მკითხველისთვის ინტერესოვალეაუბლი არ იქნება, თუ შევასხანებთ, რომ ბიორბი ქუჩიშვილის ნამდვილი გვარი არის ჩხეიძე. იგი გახლდათ ნოღარ ჩხეიძის მამა და თემურ ჩხეიძის ბაბუა.

„ნიანგი“ შემდგომშიც შემოგთავაზებთ გასულ წლებში ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მწერლებისა და მხატვრების შემოკმედებას.

მოამზადა ნანა ჯაჯანაშვილმა

სტამბოლის ბაზარში

ტომრები, შარვლები, ტაშტები, ჩანთები, დახლები - კაცი და ქალი!!!
ვაჭრობა, ინტიმი, დოლარი, არშიყი, ტვირთისკენ გვიჭირავს თვალი!

სტამბოლის ბაზარი, კანსქელი ვაჭარი ხელებში კალოშებს გვტენის, ჯაგარა უღვაში, მსუქანი ფენები, ტუჩები ნახშირის ფერის.

აგერ, უსტაბაში - ხანუმა შორენა, სტამბოლის ბაზრობის თვალი, ულიფო, ნახევრად ძუძუებშიშველი, ბაიხის ჩაისგან მთვრალი.

შევთანხმდით, კალოშის პარტიებს ვყიდულობთ, ყიდვაზე მიგვიღდა ჯერი, „ხაროში კალოში“ - ზეიმობს ეფენდი, ზანზარებს ჯიხურის ჭერი.

- ხუთასი დოლარი, ეფენდი, ძვირია, ეფენდი, დაგვიკელ ცოტა, უფულოდ თურქეთში შიმშილით მოვკვდებით, შენ მოგვეკითხება ცოდა.

არც გვალაპარაკა, დაგვიკლო ეფენდიმ, ჯიხურში კაკაოც გვასვა, ერთი „იაშიკი“ იანში კალოში გვაჩუქა ნამუსის ფასად.

ჩახჩახებს, ციმციმებს, თუხთუხებს სტამბოლის ბაზარი - ვაჭართა მექა, ტომრები ავივსეთ თურქული ნადავლით, დამთავრდა ჩანთების ქექვა.

„გულ ბაი“ ეფენდი, ჩაო ისტამბულო, ეფენდის ვუგზავნით კოცნას, გიზგიზებს მიზგითი, ყვივის მუეძინი, „გულ ბაი“, - ეფენდი გვლოცავს.

ვბრუნდებით ლილოში, ისანში, სამგორში, თბილისი ბაზარი გავდა. რაც სარფის საზღვარი გაიხსნა, ასლან-ბეგ ეფენდის ოცნება ახდა.

სტამბოლის ბაზართან მომავალ შეხვედრას ამჯერად ლილოში ველით გაშლილი ნაწნავით, გაშლილი ფენებით, გაშლილი სუფრით და ხელით.

სიმონ ბალახაძე



ნ.ბ. ბალახაძე უზაშვილისა



მედიკალური ინფორმაცია

ქურნალ „ნოანგის“ სიაგაგე და გაგეული რგოლია გატენი ზურაბ ჳერეთელი

მთავარი რედაქტორი
გიჟან (შანი) სინარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

ვაგჷა ამირეჯიბი
ვახტანგ ღოზნაძე
მალხაზ კუხაშვილი (შხატ. რედაქტ.)

ნოდარ გულაშონია
ჯანგირ მამალაძე
თენგიზ მირჯაშვილი (ჩუბჩიკა)
მერაბ სინარულიძე (მთ. რედ. მოადგილე)
ლოიდ ჭარაგვა (პ/მ. გივიანი)
ნანა ჯაჯანაშვილი (ბანუ. რედ.)
ბელა ვაჟაგაშვილი (ლიზინი)

მისამართი: 380008, თბილისი,
რუსთაველის გამზ. №42
ტელ: 93-19-42; 99-78-95; 99-55-54; 93-49-32

ქურნალი გამომცემი 1923 წლის 3 ივნისიდან
რეგისტრირებულია ქ. თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის №4/4-1263

(№1911) ინდექსი: 76137

ნახ. და თემა მშრტან აბაშიძისა

